

## პარტია „სამართლიანობისთვის“

### სადამფუძნებლო დეკლარაცია

საქართველოს კონსტიტუციით საქართველო სამართლებრივი სახელმწიფოა, რაც ნიშნავს სამართლის უზენაესობას, კანონის წინაშე თანასწორობას, კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლით აღიარებული ფუნდამენტური უფლებების დაცვას სახელმწიფოს მხრიდან.

2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ მთავარი დანაპირები იყო მრავალპარტიული დემოკრატიისა და სამართლიანი მმართველობის დამკვიდრება, სამართლიანობის აღდგენა.

ეს ამოცანა ისევ დგას დღის წესრიგში, რადგან კვლავ შეუსრულებელი დარჩა უპირველესი დაპირება: სამართლიანობის აღდგენა ჩვენი მოქალაქეებისთვის!.. სამართლიანობის იდეა დადგა თავდაყირა და წარსულის ძალადობრივი რეჟიმის მსახურნი უვადოდ აღზევდნენ.

დაირღვა ბალანსი ხელისუფლების შტოებს შორის და დაიკარგა უცილობელი წონასწორობა, რომლითაც უნდა იმართებოდეს ქვეყანა .

პრობლემად რჩება მმართველი სახელისუფლებო პარტიის შერწყმა სახელმწიფო ინსტიტუტებთან, კორუფციული ინტერესები და სახელწიფო რესურსების არამიზნობრივი, არაეფექტიანი გამოყენება, დაუძლეველი სიღარიბე და უთანასწორო სოციალური გარემო, უმძიმესი ეკოლოგიური ვითარება და შრომის უსაფრთხოების დაუცველობა, რის გამოც ადამიანთა სიცოცხლე მუდმივად საფრთხეშია.

უმძიმესია დემოგრაფიული ვითარება, იზრდება ნარკოდამოკიდებულება და ახალგაზრდები კარგავენ მომავლის პერსპექტივის განცდას.

ჩვენი მოქალაქეები, სამუშაოს საძებნელად სამშობლოს ტოვებენ, ხოლო ემიგრაციაში მყოფნი ზრუნვის გარეშე არიან დარჩენილნი.

არ არის სამართლიანობის განცდა საზოგადოებაში!...

საჭიროა ცვლილებები და ყველა საკითხის, ყველა პრობლემის სამართლით გადაწყვეტა, სამართლიანობის მიღწევა!..

სწორედ ამიტომ ვქმნით ახალ პოლიტიკურ ძალას „სამართლიანობისთვის“, რომელიც თავისუფლების, დემოკრატიისა და არჩევნების გზით იბრძოლებს სამართლიანი სახელმწიფოს შექმნისთვის.

ეს ძალა დაეფუძნება სიმართლეს, სამართალს, სამართლიანობას!..

ახალი პოლიტიკური ძალა „სამართლიანობისთვის“:

- 1 შეცვლის სახელმწიფო მართვის არასწორ სტილს და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების გზით დაიცავს ხელისუფლების სამივე შტოს დამოუკიდებლობისა და ურთიერთგაწონასწორებულობის პრინციპს.
- 2 დაასრულებს სასამართლო ხელისუფლებაში კლანურ პრინციპზე აგებულ არაჯანსაღ მმართველობას და დაამკვიდრებს სასამართლო ხელისუფლების რეალური დამოუკიდებლობის გზით სამართლიანი მართლმსაჯულების გარანტიებს, გაატარებს ნამდვილ სასამართლო რეფორმას, რომლის შედეგად სასამართლო ხელისუფლებაში იქნებიან უმწიკვლო რეპუტაციისა და მაღალი კვალიფიკაციის მოსამართლეები.

3 საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით გადადგამს რეალურ, ქმედით და შედეგზე ორიენტირებულ ნაბიჯებს, დაიწყებს დიალოგს აფხაზ და ოს თანამოქალაქეებთან საერთაშორისო თანამეგობრობის ხელშეწყობითა და შესაბამისი ფორმატების გამოყენებით.

4 მონოპოლიზირებული საარჩევნო გარემოს ნაცვლად შექმნის მრავალპარტიულ პოლიტიკურ სისტემას, სამართლიან საარჩევნო გარემოს და უზრუნველყოფს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას საერთაშორისო სტანდარტებთან.

5 გააძლიერებს საპარლამენტო ზედამხედველობას, რომელიც მთავრობის ეფექტური კონტროლის ნამდვილი დასაყრდენი გახდება.

6 დაამკვიდრებს აღმასრულებელი ხელისუფლების რეალურ ანგარიშვალდებულებას საკანონმდებლო ორგანოსა და ხალხის წინაშე.

ჩამოაყალიბებს რეალურ თვითმართველობას და ადგილებზე ხალხის წინაშე ანგარიშვალდებულების სისტემას კონტროლის შესაბამისი ეფექტიანი მექანიზმების დანერგვის გზით.

7 უზრუნველყოფს ქვეყნის უსაფრთხოებას და გაამყარებს საქართველოს სწრაფვას ევროატლანტიკურ სივრცეში სწრაფი ინტეგრაციისთვის.

8 ხელშეუხებლად დაიცავს მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებს, აღადგენს მათ დარღვეულ უფლებებს და იზრუნებს დაზარალებულთათვის სამართლიანი კომპენსაციის განსაზღვრისთვის.

9 სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გზით შექმნის სოციალურ გარანტიებს სიღარიბისა და უმუშევრობის დასაძლევად; პენსიონერთა ღირსეული სიბერის უზრუნველსაყოფად; დევნილთათვის, იძულებით გადაადგილებულ პირთა და შშმ პირთათვის თანაბარი გარემოს შესაქმნელად;

10 განახორციელებს ოჯახებზე ზრუნვის მასშტაბურ რეფორმას.

11. ხელს შეუწყობს საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარებას და დაიცავს კერძო საკუთრებას, დაამკვიდრებს შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოების რეალურ გარანტიებს, განავითარებს სოციალური სამართლიანობის სისტემას.

12. იზრუნებს განათლების სისტემის გაუმჯობესებასა და ადრეული და სკოლამდელი რეფორმის სრულყოფილად განხორციელებაზე. **მეცნიერების, ხელოვნების, სპორტის ხელშეწყობაზე.**

13. უზრუნველყოფს ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების, მოქალაქეთა მრავალფეროვანი ერთობის, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვას, დამოუკიდებელი მედიის პატივისცემასა და ხელშეუხებლობას.

14. სრულად გაათავისუფლებს სამართალდამცავ ორგანოებს პოლიტიკური გავლენებისაგან მოქალაქეთა უფლებების დაცვის მიზნით.

15. ეფექტურად გამოიყენებს საჯარო სამსახურის რესურსს, რათა გამიჯნოს მმართველ პოლიტიკური პარტიის ინტერესები სახელმწიფო ინსტიტუტებისგან.

16. დაიცავს ეროვნულ-კულტურულ ფასეულობებს და იზრუნებს ევროპული ინტეგრაციის გზაზე მავალი ჩვენი სამშობლოს თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის.